

# გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

## საქართველოს კანონპროექტზე

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური არ არის გათავისუფლებული სასამართლო და სხვა უფლებამოსილი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მიღებული აქტების აღსრულებისას გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული აღსრულების საფასურისაგან.

შესაბამისად, სამსახურის მიერ თავისი საქმიანობის უფრო მოქნილად და ეფექტურად წარმართვის მიზნით, უმჯობესია მოხდეს მისი გათავისუფლება ზემოაღნიშნული საფასურისაგან.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია საფასურის წინასწარ გადახდისა და დაკისრებისაგან, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ერთად, გათავისუფლდეს აგრეთვე სსიპ „შემოსავლების სამსახური“ (შესაბამისი საგადასახადო და საბაჟო ორგანოები).

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი კანონპროექტით ცვლილება შედის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლში და ემატება 13<sup>1</sup> პუნქტი, რომლის მიხედვითაც, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური (შესაბამისი საგადასახადო და საბაჟო ორგანოები) თავისუფლდება საფასურის წინასწარ გადახდისა და დაკისრებისაგან.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვის ნაწილზე:

კანონპროექტის მიღებამ შესაძლებელია გამოიწვიოს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შემცირება, რადგან შემოსავლების სამსახურისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოსაყოფ თანხებში აღარ იქნება გათვალისწინებული აღნიშნული საფასურისათვის გათვალისწინებული შესაბამისი თანხები. თუმცა, თუ რა ოდენობის თანხები იქნება, წინასწარ ამის გათვალისწინება შეუძლებელია.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიშვება სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება.

ბ.ე) კანონპროექტით მოსალოდნელი ფინანსური შედეგი იმ პირობების, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს სსიპ „შემოსავლების სამსახურზე“ (შესაბამის საგადასახადო და საბაჟო ორგანოებზე), რადგან ისინი გათავისუფლებიან საფასურის წინასწარ გადახდისა და დაკისრებისაგან.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით არ არის გათვალისწინებული გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესის (პრინციპის) ცვლილება.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.